ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4590124

ნომერი: AR1692869

თარიღი : 09.07.2019

გაცემის თარიღი : 15.07.2019

გაცნობის თარიღი : 15.07.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის VII შესახვევი, N 5ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი ჩარკვიანი პ/ნ 60001139947
- თბილისი გუმათჰესის ქ. N 10 ბ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. ვინაიდან ბაზაში არსებული ინფორმაციით ირკვევა რომ ერთ-ერთ საპროექტო ფასადზე 29/09/2012 AR183982 განცხადებით უკვე შეთანხმებულია კონდინციონერების განთავსების პროექტი, რომელიც არ არის განხორციელებული, საჭიროა საკითხი დააყენოთ 03.10.2012 №376251 გადაწყვეტილების კორექტირების კუთხით, ან თუ ამავე განაცხადით განაგრძობთ კონდინციონერების პროექტის შეთანხმებს პროცესს, საჭიროა ძალადაკარგულად გამოცხადდეს 29/09/2012 AR183982 განცხადებით შეთანხმებული სამუშაოები.
02. ..ფოტომონტაჟი * :
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13- 35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.
სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მთავარ ფასადზე წარმოდგენილი სახით კონდინციონერების განთავსება. საჭიროა აღნიშნული კონდინციონერები განთავსდეს ფასადის შედარებით ქვედა ნაწილზე, ჰორიზონტალური მიმართულებით.
03"ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:
წარმოსადგენია ყადაღის საფუძველი განჩინება, N2/2443-15,, 16.02.2015, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარის თანხმობა სათანადო წესით დამოწმებული. თანხმობა ფიზიკური პირის შემთხვევაში დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით იურიდიული პირის შემთხვევაში კი ასევე შესაძლებელია წარმოდგინოთ წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ასევე ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული, ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.